სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

56241038141410

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

სამეწარმეო იურიდიული პირის წესდების დამოწმების ცვლილება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N10364391

რეგისტრაციის თარიღი

20.04.2010 წ

ნოტარიუსი: მარეხ ჩოფიკაშვილი
მისამართი: თბილისი,ალ.ყაზბეგის გამზ.24 გ
ტელეფონი: 31.25.22

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

„დამტკიცებულია“

პარტნიორთა კრების 2010 წლის 10 თებერვალს

№1 გადაწყვეტილებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ცეკური“

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი
2010

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ცეკურის“-ს

წესდება

თავი I

ზოგადი დებულებანი

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შემდგომში - „საზოგადოება“) საფირმო სახელწოდებაა „ცეკური“ .

2. საზოგადოება არის იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს საზოგადოება იძენს დადგენილი წესით სამეწარმეო რეესტრში სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მომენტიდან. საზოგადოებას აქვს ბეჭედი და ბლანკი.

3. საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს საზოგადოების ქონებით.

4. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ხიზანბარელის ქ. 1;

5. სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულს.

6. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

თავი 2

საზოგადოების საქმიანობის მიზანი და საგანი

7. საზოგადოების მიზანია მოგების მიღება.

8. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია –

--სამშენებლო საქმიანობა- მშენებლობა, დიზაინი, პროექტირება და მომსახურება,
--საქონლის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და რეიმპორტი,
--ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობა,
--საშუამავლო საქმიანობა,
----სამკერვალო და სამოდელო საქმიანობა,
--ტურისტული საქმიანობა,
---სპორტული, კულტურული და საგანმანათლებო საქმიანობა,
--ნებისმიერი სახის მომსახურეობა,
-- სხვადასხვა სახის წარმოება კერძოდ:
--სამშენებლო მასალების წარმოება,
-- გზების სამშენებლო, სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება და მასთან დაკავშირებული სხვადსხვა სახის მასალების წარმოება.
-შავი და ფერადი მეტალების წარმოება,
--ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის წარმოება,
--ტყავის წარმოება,
---ხის გადამუშავება და ავეჯის დამზადება,
--ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის, მინის, კერამიკული ნაწარმის ან ანალოგიური მასალების წარმოება,
---ტექსტილის მასალები და ტექსტილის ნაწარმის წარმოება,

-მანქანების, მოწყობილობის და მექანიზმების, ელექტრონული
-მოწყობილობების, მათი ნაწილების წარმოება,
-სათამაშო და სპორტული ინვენტარის წარმოება,
-პოლიგრაფიული მრეწველობა,
-საკვები პროდუქტების წარმოება;
-და სხვა;

9. საზოგადოება შეიძლება ეწეოდეს სხვა სახის საქმიანობასაც, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
საქმიანობას, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება წარმართავს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.
10. საზოგადოება საქმიანობას წარმართავს ამ წესდების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 3
საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და დამფუძნებელი პარტნიორები

11. საზოგადოების საწესდებო კაპიტალია 1200 (ათასორასი) აშშ დოლარი ქონებით;
12. საზოგადოების პარტნიორებია:
1. ხაბულიანი სერგო დაბადებული 1961 წლის 4 აპრილს, ცაგერში. მცხოვრები: ქ. თბილისი, დ/დიღომი. დ. თავდადებულის 26, ბინა 51.

2. მელიქიძე ემზარი დაბადებული 1962 წლის 25 იანვარს ახალქალაქში. მცხოვრები: ქ. რუსთავი, თოდრიას 1-ლი ჩიხი, კორპ. 5 ბინა 86.

13. პარტნიორების შენატანი და მისი წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს:
1. ხაბულიანი სერგო - 62.5 %;
2. მელიქიძე ემზარი - 37.5 %;

14. დამფუძნებელი პარტნიორის უფლებები:
ა) პარტნიორს უფლება აქვს გაასხვისოს წილი. პარტნიორის მიერ წილის ნაწილობრივი ან მთლიანად გასხვისებისათვის აუცილებელია საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილება, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება და თანხმობა. თანხმობაში უნდა მიეთითოს წილის შემძენის ვინაობა. თანხმობის გაცემაზე საზოგადოების უარი უნდა იყოს მოტივირებული; უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
სანოტარო დამოწმებაა საჭირო შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ.
თითოეულ პარტნიორს აქვს წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.
თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.
ბ) პარტნიორი აკონტროლებს საზოგადოების ხელმძღვანელობას.

დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პარტნიორს საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს საშუალება, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

დირექტორი უფლებამოსილია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უარი თქვას ამგვარი ინფორმაციის გაცემაზე, წიგნებსა და ჩანაწერების გაცნობაზე, თუ ამგვარი ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება გამოიყენოს საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისათვის და ამით საზოგადოებასა და/ან მეკავშირე საწარმოებს მოუტანოს უარყოფითი შედეგები. დირექტორის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

სარჩელის შეტანის უფლება აქვს იმ პარტნიორს, რომელსაც უარი ეთქვა ინფორმაციის მიღებაზე.

15. საზოგადოების პარტნიორები ვალდებულნი არიან:

ა) არ გაახმაურონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია;

ბ) თავიანთი ქმედებით არ შელახონ საზოგადოების სახელი.

გ) პარტნიორთა უფლება-მოვალეობები დამატებით შეიძლება განისაზღვროს წერილობით გაფორმებული პარტნიორთა შეთანხმებით.

თავი 4
პარტნიორთა კრება

16. პარტნიორთა კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ.

კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოწვეული, იმ შემთხვევაში თუ წლიური ბალანსიდან, ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება დაკარგოს კაპიტალის ნახევარი.

17. რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს:

ა) დირექტორს;

დირექტორი ვალდებულია მოიწვიოს საზოგადოების რიგგარეშე კრება, თუ ამას მოთხოვს საზოგადოების ინტერესები.

ბ) პარტნიორს, ან პარტნიორთა ჯგუფს, რომელსაც აქვს წილის არანაკლებ ხუთი პროცენტი და თუ ამას მოთხოვს საზოგადოების ინტერესები.

მოთხოვნა უნდა დასაბუთდეს წერილობით.

18. პარტნიორთა რიგგარეშე მოწვევის ინიციატორი რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნას კრების დღის წესრიგის მითითებით გადასცემს დირექტორს, თუ დირექტორი კრებას არ მოიწვევს, მოთხოვნიდან ათი დღის განმავლობაში პარტნიორს უფლება აქვს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნით მომართონ სასამართლოს.

19. პარტნიორთა კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე.

20. დირექტორი ვალდებულია მორიგი და/ან რიგგარეშე კრება მოიწვიოს კრების თარიღამდე არანაკლებ შვიდი დღით ადრე პარტნიორებისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით. წერილში უნდა მიეთითოს კრების დღის წესრიგი და შესაძლო ცვლილებები საზოგადოების წესდებაში. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს აქვს უფლება ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგის პროექტში.

კრების მოწვევა ამ პროცედურის დარღვევით არ არის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობის საფუძველი, თუ პარტნიორი კრების დაწყებამდე არ განაცხადებს პროტესტს და მონაწილეობას მიიღებს კრების მუშაობაში.

21. პარტნიორს უფლება აქვს კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით. მინდობილობა (დედანი, ან მისი ასლი) უნდა დაერთოს კრების ოქმს.

22. საერთო კრების თავმჯდომარედ აირჩევა ერთერთი პარტნიორი.

23. კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს და მას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. დასაშვებია ოქმზე ხელი მოაწეროს კრებაზე დამსწრე ყველა პარტნიორმა.

24. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დაანწარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტი.

თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების თავმჯდომარე ვალდებულია არაუადრეს რვა დღეში მოიწვიოს ახალი კრება იგივე დღის წესრიგით; ამ წესით მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული დაანწარმოდგენილი კაპიტალქვოტის მიუხედავად.

25. საზოგადოების წესდების შეცვლა (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის შეცვლა და დამატებითი შენატანების დადგენა) შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა.

26. პარტნიორთა კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

ა) საზოგადოების წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

ბ) პარტნიორის შესატანის გადახდის მოთხოვნა;

გ) პარტნიორის დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;

დ) აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის არჩევა;

ე) გადაწყვეტილებების მიღება დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ; ამ პროცესზე წარმომადგენლის დანიშვნა.

ვ) დირექტორის საქმიანობის კონტროლი; კრება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დირექტორისგან მოითხოვოს საზოგადოების საქმიანობის სრული ანგარიში;

ზ) დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება (დირექტორთან შრომითი კონტრაქტის დადება და გაუქმება).

თ) გადაწყვეტილების მიღება მეწარმეთა შესახებ კანონითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

27. დირექტორს მხოლოდ საზოგადოების პარტნიორთა კრების 100 %-ის თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა საზოგადოების სახელით:

ა) საზოგადოების კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, საწარმოების გასხვისება და საქმიანობის შეჩერება, სხვა საწარმოში საზოგადოების კუთვნილი წილის გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა.

ბ) უძრავი ქონების და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების შეძენა, საზოგადოების უძრავი ქონების და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების გასხვისება და ვალდებულებით დატვირთვა.

გ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია.

დ) საზოგადოების წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსის და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება:

ე) ინვესტიციები, რომელთა შესყიდვის ღირებულება ცალკე, ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს.

ვ) საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღება, რომელიც აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას.

ზ) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან საზოგადოების ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა დირექტორის მიმართ დაუშვებელია;

თ) საზოგადოების სამეურნეო დარგებისა და წარმოების სახეების წამოწყება და შეწყვეტა;

ი) საზოგადოების სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

კ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა;

ლ) საზოგადოების სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა.

28. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

თავი 5
საზოგადოების ხელმძღვანელობა და დირექტორი

29. საზოგადოებას ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭო თანაბარი უფლებების მქონე ორი წევრით. ორივე წევრს გააჩნიათ ცალ-ცალკე წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ისინი წარმოადგენენ საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. აკრძალულია მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

30. დირექტორი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. იგი უნდა ზრუნავდეს საზოგადოების საქმეებზე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

თუ დირექტორი დაარღვევს ამ ვალდებულებას, იგი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე. ამ შემთხვევაში დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაურღვევია თავისი ვალდებულება.

31. დირექტორი ვალდებულია საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის, ან ზედავალიანების დადგენის შემთხვევაში ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ გადახდისუუნარობის დადგომიდან, ან ზედავალიანების დადგენიდან არაუგვიანეს სამი კვირისა, განაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

32. დირექტორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს წერილობითი, აუცილებლობის შემთხვევაში – სანოტარო წესით დამოწმებული გადაწყვეტილებების მეშვეობით.

33. დირექტორი ვალდებულია შეადგინოს წლიური ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში, ასევე მოგების განაწილების წინადადება პარტნიორთა კრებაზე წარსადგენად.

თავი 6
წლიური შედეგები

34. პარტნიორებს აქვთ წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით.

35. წლიური წმინდა მოგება ნაწილდება პარტნიორთა წილის პროპორციულად.

თავი 7
ფილიალები

36. საზოგადოებას უფლება აქვს დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ.

37. გადაწყვეტილებას საზოგადოების ფილიალის დაარსებისა და მისი ხელმძღვანელი პირის შესახებ იღებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.

38. ფილიალი საქმიანობას წარმართავს დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს პარნიორთა კრება;

თავი 8
რევიზია

39. პარტნიორთა საერთო კრება ყოველწლიურად იწვევს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისაგან, მისი პარტნიორებისაგან და დირექტორისაგან სამართლებრივად და ეკონომიურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

40. რევიზია მოიცავს ანგარიშგების, წლიური ანგარიშისა და საქმის წარმოების პრაქტიკის შემოწმებას. ყოველგვარი საგანგებო შემთხვევის შესახებ, განსაკუთრებით სხვა საზოგადოებებთან საქმიანი ურთიერთობების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს პარტნიორებს. ჩვეულებრივი წლიური ანგარიში უნდა შემოწმდეს რევიზიის აქტით. რევიზიის აქტიდან უნდა ჩანდეს, რომ სავალდებულო რევიზია ჩატარებულია საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების საფუძველზე, ასევე, დირექტორის, პროკურისტების მიერ გაცემული განმარტებებისა და მტკიცებულებების, წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე. აუდიტორმა რევიზიის აქტში უნდა მიუთითოს შემოწმების ადგილი და თარიღი.

თავი 9
ლიკვიდაცია და გარდაქმნა

41. გადაწყვეტილებას საზოგადოების ნებაყოფლობით ლიკვიდაციის შესახებ იღებს საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება ხმების 100%-იანი თანხმობით.

42. ლიკვიდაციას აწარმოებს საზოგადოების დირექტორი. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას.

ერთერთი პარტნიორის მოთხოვნით სასამართლოს უფლება აქვს ლიკვიდატორად დანიშნოს სხვა პირი, რომელიც არ არის დირექტორის წარმომადგენელი.

43. ლიკვიდატორმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინოს ბალანსი. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობოს სპეციალური შეტობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა

საცხოვრებელი ადგილი უცნობია – საჯარო განცხადებით და მოიწვიოს ისინი მათი პრეტენზიების განსაცხადებლად.

44. ლიკვიდატორი მოვალეა, დაამთავროს მიმდინარე საქმეები, განახორციელოს აქტივები და შეასრულოს საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან დავალიანება არ გამომდინარეობს. დავალიანების დადგენისთანავე იგი მოვალეა, ამის თაობაზე აცნობოს სასამართლოს, რომელმაც უნდა აღძრას გაკოტრების საქმე. ლიკვიდატორი წარმოადგენს საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლია წარმართოს მასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავროს სასამართლო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, ხოლო თუ საჭიროა, დადოს ახალი გარიგებებიც. მას უფლება აქვს აგრეთვე თავისუფლად გაყიდოს აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მან ყოველწლიურად უნდა შეადგინოს ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავისი საქმიანი მოვალეობების შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის. ლიკვიდატორი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

45. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა პუბლიკაციის მეშვეობით საზოგადოების კრედიტორები მესამედ იქნენ გამოძახებულნი. ქონების განაწილება შეიძლება მოახდინოს სასამართლომ ერთი წლის ვადის გასვლამდეც, თუ არსებული ვითარებიდან გამომდინარე ქონების ვადამდელი განაწილებით საფრთხე არ შეექმნებათ კრედიტორებს.

თუ საზოგადოების ქონების განაწილებისას წარმოიშობა დავა პარტნიორებს შორის, ლიკვიდატორი ვალდებულია შეწყვიტოს ქონების განაწილება დავის კანონიერად გადაწყვეტამდე.

46. პარტნიორებს უფლება აქვთ ხმების საერთო რაოდენობის უმრავლესობით საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით. გარდაქმნის ბალანსში აქტივები შეიტანება ძველ საბალანსო, ან საბაზრო ღირებულებით, რომელსაც ამოწმებს დამოუკიდებელი აუდიტორი.

დამფუძნებლები (პარტნიორები):

ხაბულიანი სერგო – _____

მელიქიძე ემზარი – _____

საქართველო
სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 10036439/

ორიათას ათი წლის ოც აპრილს, მე, მარეხ ჩოფიკაშვილს ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №24გ, მომმართეს შპს "ცეკური"-ს პარტნიორებმა სერგო ხაბულიანმა და ემზარი მელიქიძემ, რომლებმაც წარმოადგინეს შპს "ცეკური"-ს წესდება (ახალი რედაქცია) და მოითხოვეს მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად სერგო ხაბულიანმა (დაბ. 04.04.1961წ. ცაგერი, მცხ. თბილისი, დ/დიღომი, დ.თავდადებულის 26, ბ. 51, პ/ნ №01008007541, პ/მ №ბ 0211145, გაც. თბილისის საბურთალოს შსს I ქვეგან-ბის მიერ 21.11.1998წ.), და ემზარი მელიქიძემ (დაბ. 25.01.1962წ. ახალქალაქი, მცხ. რუსთავი, თოდრიას I ჩიხი, კორპ. 5, ბ. 86, პ/ნ №35001035559, პ/მ №გ 1044600, გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურის მიერ 09.03.2007წ.), მომმართეს. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს " ცეკური "-ს შესახებ, გაც. 29.03.2010წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის თარიღი - 15.01.1996წ., საიდენტიფიკაციო კოდი №209442174).

მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. წარმოდგენილი წესდება შესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

მე, ნოტარიუსმა მარეხ ჩოფიკაშვილმა, მათ წავუკითხე და განვუმარტე წესდების შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს და განაცხადეს, რომ წესდება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე წესდებას.

გადახდილია საზღაური :..........15.......... რეგისტრაციის საზღაური ორი ლარი

ქ. თბილისის ნოტარიუსი მარეხ ჩოფიკაშვილი: ....

ნოტარიუსი მარეხ ჩოფიკაშვილი
GEORGIA NOTARY MAREKH CHOPIKASHVILI
НОТАРИУС МАРЕХ ЧОПИКАШВИЛИ
111367752

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120073001
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.01.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	იამზე ჩანქსელიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. № 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 65 04 60
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	07678105103712

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ორი ათას თორმეტი წლის ოცდაშვიდ იანვარს, მე, ქ. თბილისის ნოტარიუსს იამზე ჩანქსელიანს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. № 7-ში, მომმართა მოქალაქე ალექსანდრე მიქელაძემ /დაბ. 02.10.1977 წელს, მცხ. თბილისი, ლილოს დას. 1 მკრ, კორპ. 3, ბინა 31, პ№ 01028002095/, რომელმაც წარმოადგინა წესდება და ითხოვა მისი ასლის დამოწმება ხუთ ეგზემპლარად.

მე, ნოტარიუსი იამზე ჩანქსელიანი, ვადასტურებ შპს „ცეკური“-ს წესდების (ახალი რედაქციით) /დამოწ. 2010 წლის 20 აპრილს, რეესტრი № 100364391, ნოტ. მარეხ ჩოფიკაშვილი/ ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან.

გადახდილია საზღაური თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 მუხლისა 5.50 ლარი + დღგ 0.99 ლარი, სულ – 6.49 ლარი (თითოეული ეგზემპლარისთვის).

ნოტარიუსი: /იამზე ჩანქსელიანი/

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №693923

ნომერი: AR1130108

თარიღი : 08.05.2013

გაცემის თარიღი : 28.05.2013

გაცნობის თარიღი : 29.05.2013

შედეგი :

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 4 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

თბილისი ზაჰესი თავისუფლების ქ. N 23

ემზარი მელიქიძე პ/ნ 35001035559

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1130108 08.05.2013 განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქ. #4, ნაკვ. #019/064–ზე (საკადასტრო კოდი #01.11.12.019.064) მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის

ასაშენებლად მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას, გაცნობებთ, რომ საკითხი განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, ქ. თბილისის მერის #967 17.05.2013 განკარგულებით კ2 განისაზღვრა 3.0–ით. (იხ.დანართი ოქმი #18 10.05.2013, ქ. თბილისის მერის განკარგულება #967 17.05.2013), რაც შეეხება სამსახურის მიერ დადგენილ #1081 24.07.2011 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას გაცნობებთ, რო აღნიშნული არ საჭიროებს „გამოყენების პირობებში“ ცვლილებას. ოქმი და განკარგულება უნდა დაურთოთ პროექტს შეთანხმების სტადიაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.